ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 235

"10" ივნისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის N443 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის N443 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 15 სექტემბრის N21.1268.1446 განკარგულების დანართი N1-ის რიგით მე-18 პირთან - მარინე გალელაშვილთან (პ/ნ: 08001018291), უზრუნველყოს, ამავე დანართით გათვალისწინებულ უძრავი ქონებაზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, გახოკიძის ქუჩა; სამხედრო დასახლება, მე-2 სართული, ბინა N10ა, ს/კ: N01.19.19.005.057.01.010ა, 26.65 კვ.მ. ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება, წინამდებარე განკარგულების მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.
2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე